- ვერ შენიშნა... ეიფელის კოშკი!
- ძველი ბლოკნოტის ჩანაწერები
- კიდევ ერთი საგარეჯოელი...




პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირისა და პროფკავშირთა საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Союза спортивных обществ и организаций Грузинской ССР и Грузинского республиканского совета профсоюзов

გამოცემის მე-20 წელი

№ 123 (2486) ◉ ოთხშაბათი, 24 ივნისი, 1964 წ. ◉ ფასი 3 კაპ.


## ახლა — ვარშავა

ევროპის თასი გათამაშდა, მაგრამ საბჭოთა ფეხბურთელებს წინ ახალი, სერიოზული გამოცდა აქვთ. კვირას, 28 ივნისს, ვარშავის სტადიონზე სსრ კავშირის ოლიმპიური ნაკრები ჩაატარებს მესამე, გადამწყვეტ მატჩს გდრ-ის გუნდთან.

სსრ კავშირის ფეხბურთის ფედერაციამ ფიფა-ს გაუგზავნა მომავალი შეხვედრის მონაწილეთა საგანაცხადო სია. მასში შევიდნენ: მეკარეები — ვ. ლისიცინი და ა. გლუხოტკო, მცველები — ვ. პონომარიოვი, ა. შესტერნიოვი, ა. კრუტიკოვი, ე. მუდრიკი, ვ. დიკარევი, ა. კორნეევი და მ. ხურცილავა, ნახევარმცველები — ვ. მასლოვი, ა. ბიბა და გ. ლოგოფეტი, თავდამსხმელები — ო. ბაზილევიჩი, ვ. სერებრიანიკოვი, გ. მატვეევი, გ. კრასნიცკი, ბ. კაზაკოვი, ო. სერგეევი, ვ. ფადეევი და ი. სევიდოვი.

დღეს ჩვენი ოლიმპიელები მინსკიდან გაემგზავრებიან ვარშავაში. მოგვიანებით მათ შეუერთდებიან შესტერნიოვი, მუდრიკი და კორნეევი, რომლებიც დღესვე ბრუნდებიან მადრიდიდან.

გდრ-ის ოლიმპიური ნაკრების შემადგენლობა არ შეცვლილა. ყველა 16 ფეხბურთელი, რომლებიც მოსკოვში ჩამოვიდნენ მეორე შესარჩევ მატჩზე, მიემგზავრებიან ვარშავაში.

## მიეძღვნა 1894 წლის 23 ივნისს

მომავალი ოლიმპიადის ქალაქში — ტოკიოში გაიმართა საზეიმო ცერემონია, რომელიც მიეძღვნა სახელოვან თარიღს — 1894 წლის 23 ივნისის დღეს, როდესაც პარიზში მიიღეს გადაწყვეტილება ოლიმპიური თამაშების აღდგენის შესახებ.

ცერემონიას დაესწრნენ პრინცი აკიხიტო, იაპონიის პრემიერ-მინისტრი ხ. იკედა და სხვა ოფიციალური პირები, რომელთა დასწრებით წაიკითხეს საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტის ე. ბრენდეჯის მისალმება. დამსწრეებმა დიდი ყურადღებით მოისმინეს პიერ დე კუბერტენის — თანამედროვე ოლიმპიური თამაშების ინიციატორის — ხმის ჩანაწერი გრამოფონზე.

## ტურნირი — წაუგებლად

კრაკოვში დამთავრდა „დინამოს" კალათბურთელთა გუნდების ტრადიციული საერთაშორისო ტურნირი. შესანიშნავ წარმატებას მიაღწია საბჭოთა კავშირის დინამოელთა ნაკრებმა კოლექტივმა, რომელიც ძირითადად დაკომპლექტებული იყო თბილისის გუნდის ბაზაზე.

ასპარეზობის ბოლო დღეს ჩვენმა სპორტსმენებმა დაამარცხეს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის „დინამო" — 86:59 (37:35), ხოლო „ციანვეიმ" (ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა) — პოლონეთის „გვარდია" — 73:66 (38:27).

V—VI ადგილებისთვის ბრძოლაში „რუდა გვეზდამ" (ჩეხოსლოვაკია) დაამარცხა „დოჟა" (უნგრეთი), ხოლო ბულგარეთის სპარტაკელებმა 1 ქულით (62:61) მოუგეს რუმინეთის „დინამოს".

ამრიგად, I ადგილზეა საბჭოთა კავშირის „დინამო", რომელმაც ტურნირი წაუგებლად ჩაატარა. შემდეგ არიან: „ციან-ვეი", „გვარდია", „დინამო" (გდრ), „სპარტაკი", „დინამო" (რუმინეთი), „რუდა გვეზდა" და „დოჟა".

## გადასასვლელი მატჩები

**მოსკოვში** დამთავრდა კალათბურთელ ქალთა 1965 წლის საკავშირო ჩემპიონატის გადასასვლელი მატჩი დედაქალაქის ორ კოლექტივს — „ლოკომოტივსა" და „ბურევესტნიკს" შორის. როგორც ცნობილია, წლევანდელ პირველობაში „ლოკომოტივმა" ერთ-ერთი ბოლო, XXI ადგილი დაიკავა, „ბურევესტნიკმა" კი შერჩევით ტურნირში გაიმარჯვა.

პირველ მატჩში წარმატებას „ბურევესტნიკმა" მიაღწია, მეორეში კი „ლოკომოტივმა". დაინიშნა მესამე, გადამწყვეტი შეხვედრა, რომელიც რკინიგზელებმა მოიგეს — 38:31 (23:19). ამრიგად, კალათბურთელ ქალთა XXXII საკავშირო ჩემპიონატში მოსკოვიდან სამი გუნდი გამოვა — „სერპ ი მოლოტი", „დინამო" და „ლოკომოტივი".

## ჩვენი კონკურსი



### ვინ გამოვა გამარჯვებული „ტოკიოს წინასწარმეტყველთა" შორის?

როგორც ცნობილია, ჩვენმა გაზეთმა ა. წ. 14 ივნისს გამოაცხადა წინასაოლიმპიადო კონკურსი სპორტის მცოდნეთათვის.

დღეს კვლავ ვაქვეყნებთ „ლელოს" კონკურსის შეკითხვებს:

1. დაასახელეთ ტოკიოს ოლიმპიადაზე არაოფიციალურ გუნდურ ჩათვლაში პირველ სამ ადგილზე გამოსული ქვეყნები.
2. ვინ გაიმარჯვებს მძიმე წონის ძალოსანთა შეჯიბრებაში და რა იქნება მისი შედეგი სამჭიდის ჯამში?
3. ვინ მოიპოვებს სსრ კავშირის მოკრივეთაგან ოლიმპიურ ოქროს მედლებს?
4. დაასახელეთ ფეხბურთში ოლიმპიური ტურნირის ნახევარფინალისა და ფინალის მონაწილენი, გამარჯვებული გუნდი.
5. საქართველოს სპორტსმენთაგან ვინ მოიპოვებს ოლიმპიურ მედლებს?
6. ვინ გახდება ჩემპიონი 10.000 მეტრზე რბენაში?
7. რამდენ ოქროს მედალს მოიპოვებენ საბჭოთა მძლეოსნები?
8. დაასახელეთ ჩემპიონები თავისუფალ ჭიდაობაში.
9. დაასახელეთ ვაჟთა და ქალთა გუნდები, რომლებიც გახდებიან პირველი ოლიმპიური ჩემპიონები ფრენბურთში.
10. როგორ განაწილდება პირველი ექვსი ადგილი წყალბურთელთა ტურნირში?
11. რომელი ქვეყნის გუნდი გაიმარჯვებს ტანვარჯიშში ვაჟთა შორის?
12. რა შედეგებს მოიპოვებენ ქართველი სპორტსმენები კლასიკურ ჭიდაობაში?
13. როგორ განაწილდება პირველი სამი ადგილი კალათბურთელთა ტურნირში?
14. ვინ მოიგებს სპრინტერულ რბოლას ველოტრეკზე?
15. როგორი შედეგი ექნება გამარჯვებულს სიმაღლეზე ხტომაში ვაჟთა შორის?

ყოველი სწორი და ამომწურავი პასუხისთვის დაიწერება 3 ქულა, ხოლო სწორი, მაგრამ არასრული პასუხისთვის — 1. კონკურსში გამარჯვებისათვის და პრიზების მოპოვებისათვის აუცილებელია ქულათა მაქსიმალური შესაძლებელი რაოდენობის სულ ცოტა 50 პროცენტის დაგროვება.

გამარჯვებულთათვის დაწესებულია შემდეგი პრიზები:

I პრიზი — კინოაპარატი.
II პრიზი — ფოტოაპარატი.
III პრიზი — საათი.

პასუხების გამოგზავნის უკანასკნელი ვადაა 1 ოქტომბერი (ფოსტის ბეჭდის მიხედვით).

წერილები უნდა გამოიგზავნოს შემდეგი მისამართით: თბილისი — 8. ლენინის ქუჩა № 14, გაზეთ „ლელოს" რედაქცია. კონვერტს წარწერილი უნდა ჰქონდეს: „ოლიმპიური კონკურსისათვის". წერილში აუცილებლად უნდა იყოს აღნიშნული გამომგზავნის გვარი, სახელი, მამის სახელი, პროფესია და მისამართი.

## მსოფლიო ჩემპიონის მარცხი

**ლენინგრადი,** 23 ივნისი (ტელეფონით). ბულგარეთიდან სსრ კავშირში სტუმრად ჩამოსული მსოფლიო ჩემპიონები — იაპონელი ფრენბურთელი ქალები დღეს აქ ამხანაგურ საერთაშორისო მატჩში შეხვდნენ ჩვენი ქვეყნის ნაკრებს. საბჭოთა ფრენბურთელებმა შესანიშნავად ითამაშეს და გაიმარჯვეს — 3:0.

◆ **რომი.** მსოფლიოს ექს-ჩემპიონი, მოსკოველი დიდოსტატი ვ. შჩოგოლევი განაგრძობს წარმატებით თამაშს დიდ ოლიმპიურ ტურნირში, რომელიც იტალიის ქალაქ მერანოში მიმდინარეობს. IV ტურში მან დაამარცხა გაიტელი მოშაშე სენ-ფორი, ხოლო V ტურში „იმსხვერპლა" შვეიცარიელი კაზემირი. ახლა შჩოგოლევს 5 ქულა აქვს. მის უახლოეს კონკურენტს, მსოფლიო ჩემპიონს, კიეველ ი. კუპერმანს 4 ქულა აქვს. ამდენივე დააგროვა ჰოლანდიელმა ბომმა. ნახევარი ქულით ჩამორჩება მათ საფრანგეთის ჩემპიონი მ. იზარი. სენეგალელ დიდოსტატ ბაბა სის და ახალგაზრდა სურინამელ სანირსადს 3-3 ქულა აქვთ.

◆ **მოსკოვი.** მიტიშჩის „დინამოს" სასროლეთზე დაიწყო დოსააფ-ის პრიზის გათამაშება ბულგარეთის, გდრ-ის, მონღოლეთის, რუმინეთის, უნგრეთის, ჩეხოსლოვაკიისა და სსრ კავშირის მსროლელთა მონაწილეობით. პირველი გამარჯვება მოიპოვა საბჭოთა სპორტსმენმა ე. რასკაზოვმა. მან მცირეკალიბრიანი პისტოლეტიდან 50 მეტრზე სროლაში 569 ქულა დააგროვა (600 შესაძლებლიდან). საბჭოთა მსროლელებმა ყველას აჯობეს გუნდურ ჩათვლაშიც — 2.206 ქულა.

მცირეკალიბრიანი შაშხანიდან 50 მეტრზე სროლაში წოლელა მდგომარეობიდან გუნდური პირველობა მოიპოვეს გდრ-ის მსროლელებმა — 2.318 ქულა. პირად ჩათვლაში გაიმარჯვა ოლიმპიურმა ჩემპიონმა ვ. შამბურკინმა (სსრ კავშირი) — 586 ქულა.



სურათზე: გოგონათა შორის 4×100 მეტრზე ამანათცურვაში ჩვენი რესპუბლიკის ახალი რეკორდის ავტორები (მარცხნიდან მარჯვნივ): ნ. ჭუმბაძე, მ. ზამბახიძე, ნ. ჟიგალიოვა, ლ. ასანიშვილი.

ფოტო სპორტის ოსტატ ბ. კამენსკისა.

# მწვრთნელი და სპორტსმენი

ვილაპარაკოთ გულახდილად

**კ**ომუნიზმის მშენებლის მორალური კოდექსის მოთხოვნილებათა შესრულება ყოველი საბჭოთა მოქალაქის საზოგადოებრივი მოვალეობაა. მაგრამ არის მოღვაწეობის ისეთი დარგები, სადაც ადამიანებს გაცილებით მეტი მოეთხოვებათ. ერთი ასეთთაგანია სპორტი. მწვრთნელი-პედაგოგები და სპორტსმენები თავიანთი შრომით უამრავ მაყურებელს ანიჭებენ კმაყოფილებას და სიხარულს. ხან კი, სამწუხაროდ, სინანულისა და დაუკმაყოფილებლობის მწარე გრძნობასაც. მწვრთნელმა და სპორტსმენმა უნდა წარმოადგინონ ფიზიკური და სულიერი სრულყოფის ნიმუშები, დანერგონ ცხოვრების სწორი და გამართლებული რეჟიმი. გახადონ შრომა სიამოვნებად, გამონახონ დასვენების მიზანშეწონილი ფორმები! ისინი უნდა იყვნენ მოწინავენი ჯანმრთელობის განმტკიცების კეთილშობილურ საქმეში, რომელიც ადამიანს დაასაჩუქრებს ხანგრძლივი, ინტენსიური ცხოვრებით და საშუალებას მისცემს სრულად გამოამჟღავნოს შემოქმედებითი უნარი.

აღნიშნული საკითხი ჩვენში დადებითადაა გადაწყვეტილი, რასაც ნათლად მოწმობს რესპუბლიკის სპორტსმენთა მიღწევები საერთაშორისო და საკავშირო სარბიელზე, თანრიგოსანთა და სპორტის ოსტატთა რიგების ზრდა.

მაგრამ, ზოგიერთი ნაკლოვანება, მეთოდური და პედაგოგიური საკითხების გადაუწყვეტელობა ჯერ კიდევ სახეზეა. საჭიროა მათს შესახებ გულახდილი, შეულამაზებელი ლაპარაკი.

### მწვრთნელის სახე

**დ**იდია მწვრთნელის ავტორიტეტი. მას პატივისცემით ეპყრობიან, ანგარიშს უწევენ, ბაძავენ. მაგრამ ზოგი მწვრთნელი პედაგოგიურ ცოდვას ჩადის, როცა ბოლომდე ვერ ასრულებს მოვალეობას და ამით გულს უტეხს აღსაზრდელებს. მწვრთნელები სანიმუშონი უნდა იყვნენ ყოფა-ქცევით, ჰქონდეთ დიდი ერუდიცია, მაღალი პროფესიული და საერთო კულტურა. დაუფლებულნი იყვნენ აღზრდის რთულ ხელოვნებას. მხოლოდ პირადი მაგალითის უგულვებელყოფას უნდა მიეწეროს ის ფაქტები, როცა მწვრთნელთა ნაწილი თავშეუკავებლად, უწესოდ იქცევა საზოგადოებაში, ჭარბად ეტანება ალკოჰოლს, ამჟღავნებს უხეირო, დაბალ გემოვნებას.

ჩატარებული საწვრთნელი მეცადინეობა აღზრდის მნიშვნელოვანი მხარეა, რაც მხოლოდ იმ დროს არის შესაძლებელი, როცა მწვრთნელი სწორად წარმართავს სწავლების პროცესს. მწვრთნელი, როგორც პიროვნება, ვალდებულია ბუნებით იყოს აღმზრდელი. საჭირო მომენტში მის პრაქტიკაში დარიგების, შენიშვნის ან სასჯელის საშუალებასაც შეხვდებით, რაც ეპიზოდურ ხასიათს უნდა ატარებდეს განსაკუთრებული შემთხვევის სახით.

### სპორტსმენის ძნელი და საპატიო ხვედრი

**გ**ზა სპორტული დაოსტატებისკენ მეტად რთული, ძნელი და საპატიოა. მაღალი შედეგების მიღწევა მოითხოვს ფიზიკური თვისებების სრულყოფას, თანამედროვე სპორტული ტექნიკის დაუფლებას, მიზანშეწონილ ტაქტიკას და ბრძოლისუნარიანობას. ამჟამად სავალდებულო გახდა ფსიქოლოგიის, ფიზიოლოგიისა და პედაგოგიური ხასიათის საკითხების ღრმა ცოდნა, მათი მიზანშეწონილი გამოყენება.

საზოგადოების თვალში სპორტსმენთა პოპულარობა მათ ავალდებულებს სამაგალითონი იყვნენ პირად ცხოვრებაში, ყველგან და ყველაფერში — პირველ რიგში კი, სპორტულ სარბიელზე.

გავიხსენოთ ის დღეები, როცა სპორტის დამსახურებული ოსტატი ნონა გაფრინდაშვილი მსოფლიოს ჩემპიონის საპატიო სახელისთვის იბრძოდა. ყველა ამაყობდა თანამემამულით და ეს გრძნობა უცვლელია ახლაც, რადგან თვით სპორტსმენი — ნ. გაფრინდაშვილი — სამაგალითოა, როგორც პიროვნება, მოქალაქე და ადამიანი. იგივე ითქმის მწვრთნელების მ. თიკანაძის, ნ. მეიფარიანის და ბევრ სხვათა შესახებაც.

მაგრამ არც ისაა დასამალი, რომ ზოგიერთი სპორტსმენისთვის ხალხის სიყვარული მძიმე ტვირთი გახდა. ისინი ნიადაგს კარგავენ, არად აგდებენ რესპუბლიკის გულშემატკივრების ინტერესებს, ქედმაღლობენ, პირადს — საზოგადოებრივზე მაღლა აყენებენ. არავის დაავიწყდება გასულ წელს სსრ კავშირის ხალხთა III სპარტაკიადაზე ნიჩბოსან ა. მანტკავას მოქმედება. მან უგულვებელყო რესპუბლიკის სპორტული ინტერესები და ბრძოლას თავი მიანება, რადგან საპრიზო ადგილს ვერ იკავებდა... პირად ჩათვლაში.

ან რა შეიძლება ეწოდოს კალათბურთელ ვ. ალთაბაევის მოქმედებას ერთი საერთაშორისო შეხვედრის დროს, ვ. რუკინის საქციელს კიშინიოვში მძლეოსანთა სამატჩო შეხვედრაზე?! ნორმალურია თუ არა, რომ ცნობილი სპორტსმენები, რომლებიც ახალგაზრდობის ერთგვარ იდეალს წარმოადგენენ, სპორტში მუშაობის ნაცვლად სავაჭრო ორგანიზაციებში მოკალათდნენ? ნუთუ ამისთვისაა საჭირო უმაღლესი ფიზკულტურული განათლება, ოლიმპიური ან მსოფლიო ჩემპიონობა, სპორტის დამსახურებული ოსტატისა და სპორტის ოსტატის მაღალი წოდებები?

### რა საჭიროა დაპირისპირება

**ს**პორტის დარგში მომუშავეებმა კარგად იციან რა ძნელია სპორტული მოღვაწეობა. ფიზიკური და მორალურ-ნებელობითი წვრთნა დაკავშირებულია წარმატებასა და წარუმატებლობასთან. მაგრამ სპორტული თანაგრძნობა სრულებით არ ნიშნავს იმ მავნე „თანაგრძნობას", რომელსაც ზოგიერთი „კეთილმსურველი" თავისი საყვარელი სპორტსმენის, ან გუნდის მიმართ იჩენს ფეხბურთის, ან კალათბურთის მატჩის დროს. იმის მაგივრად, რომ წარუმატებლობის შემთხვევაში უფრო განმტკიცდეს სპორტსმენისა და მწვრთნელის ერთობლივი მუშაობა, გამოინახოს მიზანშეწონილი გზა შედეგების აღდგენისთვის, ხანდახან თავს იჩენს სპორტსმენისა და მწვრთნელის დაპირისპირება. იქმნება კონფლიქტი, იწყება მწვრთნელის უსაფუძვლო კრიტიკა, სპორტსმენს არ მოწონს წვრთნის მეთოდები და ა. შ. იმათ კი, რომლებიც თავიანთი საზოგადოებრივი მოვალეობით (ფედერაციები, სექციები, მწვრთნელთა საბჭოები) მსაჯულებად გვევლინებიან, უმეტეს შემთხვევაში, სამართლიანად მიაჩნიათ სპორტსმენთა მოსაზრებანი, მწვრთნელს აძლევენ დაუმსახურებელ საყვედურს, შენიშვნას ან, რაც უკიდურესია ასეთ შემთხვევაში, ცვლიან მას და სპორტსმენს სხვას „გადაცემენ". ასე „გადაცეს" სხვებს ვ. სუხოტინის აღზრდილი სპრინტერი ე. ლომთაძე, შ. კილაძის აღზრდილი ბადროს მტყორცნელი გ. ჩადუნელი, ნ. დუმბაძის აღზრდილი ბადროს მტყორცნელი ი. მხეიძე. ასე „გაასაჩუქრეს" მთელი გუნდები... როგორ ფიქრობთ, რა მოიგეს სპორტსმენებმა? არაფერი! მათი შედეგები გაუარესდა.

ასეთი ფაქტები ახალგაზრდობას აღზრდის სწორ გზას აცილებს. მწვრთნელი, თუ იგი უვარგისია (და ასეთებიც გვხვდებიან), ყველაფრის ღირსია. მაგრამ მაინც მეტი სიფრთხილე და ტაქტის გრძნობაა საჭირო მწვრთნელთა მიმართ, რათა „წყლის გადაქცევის დროს, ბავშვიც არ გადავაყოლოთ". მწვრთნელთა მიმართ ზოგიერთი სპორტსმენის უპატივცემლობამ მხარდაჭერა კი არ უნდა ჰპოვოს, არამედ, პირიქით, ამას სასტიკი ბრძოლა უნდა გამოეცხადოს!

### შემდგომი ამოცანები

**დ**ღევანდელ ვითარებაში მწვრთნელი სპორტსმენს დიდ მოთხოვნებს უყენებს. სპორტსმენის მომზადება ითვალისწინებს არა მარტო ტექნიკურ და ტაქტიკურ შესაძლებლობათა გაუმჯობესებას, არამედ მთელი რიგი ფიზიკური, ფსიქოლოგიური და მორალური თვისებების სრულყოფასაც.

სპორტსმენს უნდა შეეძლოს ყოველ ვითარებაში გამოამჟღავნოს შესაძლებლობათა მაქსიმუმი. სწორი არ არიან მწვრთნელები, რომლებიც სპორტსმენს ამზადებენ მათთვის ორგანულად უცხო ფარგლებში და ამით წინასწარ ზღუდავენ ინდივიდუალური მიდრეკილებების გამოვლენის შესაძლებლობას. მწვრთნელს არ აქვს უფლება დანერგოს ის, რაც შემდგომში არ იხარებს. წინააღმდეგ შემთხვევაში, მწვრთნელის და სპორტსმენის მუშაობა ნაყოფიერი არ იქნება, ფუჭად დაიხარჯება დრო და ძალა, შეიქმნება უპერსპექტივობის გრძნობა, დაქვეითდება შრომისუნარიანობა.

მწვრთნელი, რომელიც ალკოჰოლს ეტანება, ვერ იცავს ცხოვრების ელემენტარულ რეჟიმს, არ არის დაინტერესებული კულტურის, ხელოვნების, ტექნიკის და ზოგადი განათლების მრავალი საკითხით (არ ვლაპარაკობთ სპეციალურ ცოდნაზე,) არ ძალუძს თავის აღსაზრდელს შთაუნერგოს დადებითი თვისებები, დაუმეგობრდეს, ავტორიტეტი გახდეს!

ამ მხრივ სცოდავს ზოგი მწვრთნელიც და სპორტსმენიც.

პარიზში ნამყოფმა ერთმა ცნობილმა სპორტსმენმა ეიფელის კოშკი ვერ „შეამჩნია" (ღრუბლიანი დღე იყოო), მხედველობიდან გამორჩა მსოფლიოში ცნობილი ღვთისმშობლის ტაძარი, ლუვრი, პანთეონი. მსოფლიოს უდიდესი ქედის — ჰიმალაების გადაკვეთის დროს განეფოს თამაშებზე მიმავალმა მოფარიკავეთა საკავშირო ნაკრების წევრებმა, რომლებიც მწვრთნელის „ხელმძღვანელობით" ბანქოს თამაშობდნენ, დრო ვერ გამონახეს შეეხედათ ამ ზღაპრული სილამაზისთვის. ჩვენი რესპუბლიკის ერთმა წამყვანმა ქართველმა მძლეოსანმა, რომელიც უცხოეთიდან დაბრუნდა, დამსწრეთ რუკაზე ვერ უჩვენა იმ ქვეყნის დედაქალაქი, სადაც რამდენიმე დღის წინ საკმაო წარმატებით გამოვიდა. სამარცხვინო ფაქტებია! და მეტად სამწუხარო...

აღნიშნული საკითხები არ გამორიცხავენ სხვა მნიშვნელოვან მომენტებს მწვრთნელისა და სპორტსმენის ურთიერთდამოკიდებულებაში. იმედია, სპეციალისტები და ამ საკითხით დაინტერესებულნი თავიანთ მოსაზრებებს გამოთქვამენ.

**ლ. ბიორბაძე,**
საქართველოს სსრ დამსახურებული მწვრთნელი.

# გზა ხსნილია ყველა ასაკისთვის

ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელი მუშაობა თანდათან მკვიდრდება ჩვენი რესპუბლიკის საშუალო და უფროსი ასაკის ადამიანების ცხოვრებაში. იგი მტკიცედ შევიდა მათს ყოფაში.

ეს განსაკუთრებით თვალსაჩინოა „განთიადის" კოლექტივებში. ცენტრალური საბჭოს ხელმძღვანელობას სპორტულ ღონისძიებათა დაგეგმვის დროს მხედველობიდან არც ეს პუნქტი — ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელი მუშაობა გამორჩენია და იგი წარმოდგენილია სხვადასხვა ფორმით — მასობრივი კროსებით, ტურიზმით, სპორტთამაშებით, თევზჭერით და, რაც მთავარია, „ჯანმრთელობის სპარტაკიადით".

ეს უკანასკნელი ჩვენს რესპუბლიკაში პირველად ტარდება და ბევრგან საკმაოდ ორგანიზებულადაც. „ჯანმრთელობის სპარტაკიადები" მაღალ დონეზე მიმდინარეობდა აჭარაში, თბილისის კიროვის სახელობის ჩარხმშენებელ ქარხანაში, ქუთაისში, რუსთავში. ღონისძიებაში (მალე დაიწყება მეორე ეტაპი) მონაწილეობას მიიღებს 60 ათასამდე კაცი.

ხალხმრავალი იყო „განთიადის" ორგანიზაციების მძლეოსნური კროსებიც. იგი 400 კოლექტივში გაიმართა. სტარტზე გამოსული 50 ათასი ფიზკულტურელიდან 4 ათასმა აჩვენა თანრიგი. ღონისძიება განსაკუთრებით ორგანიზებულად მოეწყო ქობულეთში, თბილისის ელმავალმშენებელ ქარხანაში, აბრეშუმსაქსოვ ფაბრიკასა და სხვა ორგანიზაციებში.

30 ათასი ფიზკულტურელი მონაწილეობდა ტურისტულ შეკრებებში. ღონისძიების პირველი ეტაპი — შიდასაკოლექტივო ტურნირები ჩატარდა 370 ორგანიზაციაში, რის შემდეგ გაიმართა მეორე ეტაპი — სარაიონო, საქალაქო, საოლქო და მერე მესამე ეტაპი — რესპუბლიკური შეჯიბრებანი.

დიდი მასობრიობით აღინიშნა ღონისძიებანი ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელი პროგრამის ისეთ სახეობებში, როგორიცაა ფრენბურთი, კალათბურთი, ჭადრაკი. მარტო თბილისში ამ სახეობებში პირველობანი გაიმართა შესაბამისად 75, 40 და 50 კოლექტივში. 100 ფიზკულტურული ორგანიზაცია იბრძვის მსროლელთა დაუსწრებელ შეჯიბრებაში.

განთიადელებს განზრახული აქვთ ყველა ასაკის ადამიანთა მონაწილეობით ტურნირები გამართონ თევზჭერაშიც (მინგეჩაურში). წყალზე ანკესებით გავა თევზჭერის 250 მოყვარული, სულ 25 გუნდი. ასევე 25 გუნდის მონაწილეობით ივლისის პირველ რიცხვებში, კასპში ჩატარდება ქართულ მოჭიდავეთა პირველი ყველაზე მასობრივი შეჯიბრება, ხოლო შემდეგ ანალოგიური ღონისძიება გაიმართება ლელობურთში.

განთიადელთა წამოწყება, ზრუნვა საშუალო და უფროს ასაკის ადამიანთა ფიზკულტურაში მეტი რაოდენობით მიზიდვისათვის, მისასალმებელია.

**ო. ივდოშვილი**

# საჭიდაო სარბიელზე

**დამთავრდა** „განთიადის" თბილისის პირად-გუნდური ასპარეზობა კლასიკურ ჭიდაობაში. წონითი კატეგორიების მიხედვით ჩემპიონები გახდნენ ა. ხარჩილაძე, გ. კობახიძე, რ. კაციტაძე, რ. ჩოჩიაშვილი, რ. ღუღუნიშვილი, ე. ცომაია, რ. ჯიქია და ტ. იორაშვილი.

გუნდური პირველი ადგილი სპორტკლუბ „განთიადის" ფალავნებმა დაისაკუთრეს. მეორე ადგილი წილად ხვდათ ელმავალმშენებელი ქარხნის მოჭიდავეებს, მესამე — ქარხანა ელექტროავტომატის ნაკრებს.

**მ. ჯაფარიძე**

**გორის** რაიონის სპორტკავშირმა მოაწყო პირად-გუნდური პირველობა ქართულ ჭიდაობაში. შეჯიბრებაში მონაწილეობდა კარალეთის, ატენის, ბერშუეთის, სკრის, ავლევის, ქარელის, ბრეთის და სხვა სასოფლო საბჭოების მოჭიდავეთა გუნდები. ასპარეზობა საკმაოდ მაღალი სპორტული დონით აღინიშნა.

პირველი გუნდური ადგილი კვლავ შეინარჩუნეს გასული წლის ჩემპიონებმა — ატენელმა მოჭიდავეებმა.

წონითი კატეგორიების მიხედვით რაიონის ჩემპიონები გახდნენ: ოდიაშვილი (ატენი), გოდერძიშვილი, აბულაშვილი (ორივენი — ხიდისთავის მექანიზაციის სკოლიდან), პავლიაშვილი (ატენი), დონდუზაშვილი (ბრეთი), ლაფაჩი (სკრა), ტერტერაშვილი (კარალეთი) და კაჯილაშვილი (ატენი).

უფრო ადრე ასეთივე ღონისძიება ჩატარდა ჭაბუკთა შორისაც. ჭაბუკთა ასპარეზობამ ბევრი კარგი მომავლის მქონე სპორტსმენი გამოავლინა.

**ი. თევდორაშვილი**
(ჩვენი კორ.).

**ქუთაისი.** დამთავრდა ქალაქის პირად-გუნდური პირველობა კლასიკურ ჭიდაობაში ჭაბუკთა შორის. გაიმარჯვა „დინამოს" ნაკრებმა.

წონითი კატეგორიების მიხედვით ჩემპიონები გახდნენ: ა. გუდაძე, რ. კუპრაშვილი, ა. ასლანიანცი, ზ. კაპანაძე, თ. ქურციკიძე, ა. თავდიდიშვილი (ყველანი — „დინამოდან"), ს. ქარაზანაშვილი, ჯ. დოლონაძე (ორივენი — „ლოკომოტივიდან"), ზ. სინატაშვილი, ო. ნედელკინი (ორივენი — ბავშვთა სპორტსკოლიდან).

**ი. გუხაიძე**

**ტყვარჩელი.** აქ დამთავრდა ქალაქის პირველობა კალათბურთში ვაჟთა გუნდებს შორის. საინტერესო სპორტულ ბრძოლაში I ადგილი ტყვარჩელქვანახშირის ტრესტის ცენტრალური ელექტრომექანიკური სახელოსნოს გუნდმა დაიკავა, რომელმაც ფინალში თბოელექტროსადგურის კოლექტივი დაამარცხა — 35:34.

**ვ. ჯღარკავა**

**გორი.** გაიმართა „განთიადის" საქალაქო საბჭოს პირველობა მაგიდის ჩოგბურთში. მასში მონაწილეობდნენ ბამბეულის კომბინატის ორი გუნდი, სამეცნიერო-საკვლევო ინსტიტუტის, საკონსერვო ქარხნისა და № 9 სამშენებლო ტრესტის კოლექტივები.

პირველობაზე დაწინაურდნენ სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტისა და ბამბეულის კომბინატის პირველი გუნდები. სწორედ მათ შორის გამარჯვებულს უნდა გამოევლინა ქალაქის ჩემპიონიც. მინიმალური ანგარიშით (4:3) გამარჯვება ინსტიტუტის წარმომადგენლებს ხვდათ წილად. მესამე ადგილზე გამოვიდა ბამბეულის კომბინატის მეორე გუნდი.

**თ. იოსებაშვილი**

## ფოტოობიექტივი მოგვითხრობს...



**ეს** სურათები, რომლებიც გადაღებულია ჩვენი ფოტორეპორტიორების — რ. გაბრიჭიძისა და მ. ზარგარიანის მიერ, მოგვითხრობენ ამ დღეებში დამთავრებული რესპუბლიკური სპარტაკიადების მოკლე, მაგრამ საინტერესო ეპიზოდებზე.

**მარჯვნივ** თქვენ ხედავთ მოსწავლეთა სპარტაკიადის მონაწილეებს — ორადგილიანი ბაიდარებით 500 მეტრზე გამარჯვებულ ფოთელ სპორტსმენებს — ლ. მოისეევსა და ა. ჩეტოჩნიკოვს; **მარცხნივ** კი ენისელის პროფტექნიკური სასწავლებლის ტანმოვარჯიშე ლ. ქურუშაძის გამოსვლას თავისუფალ ვარჯიშში, რომელმაც პირველი ადგილი დაიკავა ჭაბუკთა შორის საქართველოს პროფტექნიკური სასწავლებლების XVII სპარტაკიადაში.

**მაგრამ ბრძოლები არ დამთავრებულა. უფრო მეტი ინტენსიურობით ვარჯიშობენ ამჟამად ნაკრები კოლექტივების წევრები, რათა ზონალურ საკავშირო სპარტაკიადაზე ღირსეულთა შორის ღირსეული ადგილი მოიპოვონ.**



ეროვნული ბიბლიოთეკა

# საქართველოს 1964 წლის ჩემპიონები ქართულ ჭიდაობაში



ჩ. ქუცნიაშვილი   რ. ბუკულოვი   გ. გალხამიშვილი   პ. ოდიშვილი   ვ. გორჩაშვილი   გ. გალაკაშვილი   ა. ზურაბაული   ნ. უაჩმაზაშვილი

## „ა" კლასის საგზურისთვის

წყალბურთში „ბ" კლასის საკავშირო პირველობის ზონალური შეჯიბრების მეორე დღეს „მოედანზე" პირველად გამოვიდნენ ბაქოს არმიელები და თბილისის „ბურევესტნიკის" სპორტსმენები.

ბურთს მასპინძლები დაეუფლნენ და სწრაფად შეუტიეს მეტოქეთა კარს. ჯერ რ. ხუნწარიამ, ხოლო, შემდეგ ნ. შაშკინმა ორჯერ შეარხიეს ბაქოელთა კარის ბადე. პერიოდის დასასრულს გუნდებმა თითო ბურთი გაიტანეს.

მეორე პერიოდში ანგარიში არ შეცვლილა, მესამე პერიოდში ბაქოელმა ვ. დვუშერსტნამ მინიმუმამდე დაიყვანა ანგარიშში სხვაობა — 2:3. მაგრამ იქვე ი. სხირტლაძემ გაზარდა ანგარიში — 4:2.

მეოთხე პერიოდში ბაქოელები ყოველ ღონეს ხმარობენ, რათა თამაშში სასურველ გარდატეხას მიაღწიონ და ერთი პირობა ქვითავენ კიდეც ანგარიშს, მაგრამ თამაშის დამთავრებამდე ი. სხირტლაძემ ორჯერ აიძულა ბაქოელები თამაში ცენტრიდან დაეწყოთ. მეტოქეებმა მხოლოდ 1 ბურთის გატანა შეძლეს და თბილისელებმა მეტად საჭირო 2 ქულა ჩაიწერეს აქტივში — 7:5.

თბილისის „ლოკომოტივის" წყალბურთელები ამ დღეს ბაქოს ბავშვთა ცენტრალური სპორტული სკოლის აღსაზრდელებს შეხვდნენ. თბილისელთა უპირატესობა თავიდანვე აშკარა იყო და მათ დიდი ანგარიშით მოუგეს თავიანთ ახალგაზრდა მეტოქეებს — 9:2.

ასპარეზობის დასკვნით, მესამე დღეს თბილისის „ლოკომოტივის" წყალბურთელები ბაქოს არმიელებს შეხვდნენ. პირველ წუთებზევე კ. გრიგორიევმა გახსნა ანგარიში — 1:0. სამი პერიოდის განმავლობაში თბილისელებმა კიდევ ერთი ბურთი გაიტანეს. მეოთხე პერიოდში მათ მოადუნეს ტემპი, რითაც კარგად ისარგებლეს მეტოქეებმა და ანგარიში გაათანაბრეს. თბილისელ ჯ. ვადაჭკორიას მიერ გატანილმა ბურთმა კვლავ წინ გაიყვანა მასპინძლები. თამაშის დამთავრებამდე ბაქოელებმა კვლავ გაქვითეს ანგარიში — 3:3.

ბაქოს ბავშვთა ცენტრალური სპორტსკოლის გუნდს აშკარად აკლია გამოცდილება და ოსტატობა. თბილისის „ბურევესტნიკის" წყალბურთელთა გუნდის გამუდმებულ იერიშებს მათ ვერაფერი ვერ დაუყენეს წინ და წააგეს დიდი ანგარიშით — 2:14.

„ა" კლასის საგზურისთვის ბრძოლის უფლება მოიპოვეს თბილისის „ბურევესტნიკისა" და „ლოკომოტივის" წყალბურთელებმა.

ა. ცეხანელი

## სტარტზეა ხვალინდელი ფეხბურთი

ახალგაზრდა ფეხბურთელებს — ჩვენი ოსტატების მომავალ ცვლას საგანგებო ყურადღება ეთმობა. ვინ მოთვლის, რამდენი შეჯიბრება ჩატარებულა ნორჩებისთვის, რამდენ დამწყებს გამოუჩენია თავი ამ ტურნირებში და დიდი სპორტის საგზურიც მიუღია.

„ა" და „ბ" კლასების კოლექტივებთან არსებული მოზარდთა გუნდები ჩვენი ფეხბურთის საუკეთესო წყაროა. ამიტომაც გასაგებია ის ინტერესი, რომელიც გამოიჩინეს გულშემატკივრებმა თბილისის „ბურევესტნიკის" სტადიონზე გახსნილ „ხვალინდელ ოსტატთა" ტურნირისადმი.

უკვე გაიმართა ორი მატჩი. პირველად მინდორზე გამოვიდნენ თბილისის საფეხბურთო სკოლისა (მწვრთნელები ვ. ელოშვილი, გ. ბაქანიძე) და თბილისის „ლოკომოტივის" (მწვრთნელები ა. ვარდიაშვილი, ო. კინწურაშვილი) გუნდები. ანგარიში გახსნეს რკინიგზელებმა — დორეულმა კარგად გამოიყენა საჯარიმო დარტყმა შორი მანძილიდან.

მატჩის მეორე ნახევარში ჯანშიევმა გაათანაბრა ანგარიში, მაგრამ იმავე დორეულმა ზუსტად გაიმეორა „პირველი გოლის პარტია" და თავისი გუნდი კვლავ წინ გაიყვანა. ორიოდე წუთის შემდეგ ანგარიში ისევ გათანაბრდა (ჩიხრაძე) — 2:2. მალე ჯანშიევმა კიდევ ერთი ბურთი გაიტანა და გამარჯვება სკოლის გუნდს დარჩა — 3:2.

როდესაც მსაჯის საფინალო სასტვენმა ფოთის „კოლხიდისა" და თბილისის „დინამოს" მატჩის დამთავრება ამცნო მაყურებლებს, ელექტროტაბლოზე სამი ერთიანი იყო გამოსახული. მათი „გაშიფვრა" გულშემატკივართათვის არ იყო ძნელი — 11:1 დინამოელთა სასარგებლოდ.

აღსანიშნავია, რომ „კოლხიდის" (მწვრთნელები ი. ხოფერია და დ. ჟღენტი) კარში ცენტრალურმა თავდამსხმელმა გიგინეიშვილმა 5 ბურთი გაიტანა, ხოლო გუნდის კაპიტანმა, ნახევარმცველმა სირბილაძემ — 3.

დღეს, მეორე ტურში ერთმანეთს ხვდებიან „კოლხიდა" — საფეხბურთო სკოლა და „დინამო" — „ლოკომოტივი".

ო. ნოზაძე

## „ბ" კლასის ლიდერები

რუსეთის ფედერაციისა და მოკავშირე რესპუბლიკათა „ბ" კლასის ფეხბურთელთა გუნდების ასპარეზობაში დღეისათვის ლიდერობენ: **პირველ ზონაში** — სერპუხოვის „ზვეზდა" (15 ქულა 10 თამაშიდან); **მეორე ზონაში** — პერმის „ზვეზდა" (17 ქულა 9 თამაშიდან); **მესამე ზონაში** — დონის-როსტოვის „როსსელმაში" (13 ქულა 7 თამაშიდან). ამდენივე ქულა აქვთ კამენსკ-შახტინსკის „პროგრესის" ფეხბურთელებს, ოღონდ 9 თამაშის შემდეგ; **მეოთხე ზონაში** — ბათუმის „დინამო" (16 ქულა 11 თამაშიდან); **მეხუთე ზონაში** — მაგნიტოგორსკის „მეტალურგი" (16 11-დან); **მეექვსე ზონაში** — ვლადივოსტოკის „ლუჩი" და ტომსკის „ტორპედო", რომლებმაც 11 ტურის შემდეგ მოაგროვეს 16-16 ქულა. ვლადივოსტოკელებს ბურთების უკეთესი სხვაობა აქვთ.

### „დინამო" (სოხუმი) — „კოლხიდა" (ფოთი) — 0:0

**სოხუმი, 23 ივნისი.** დღეს აქ გაიმართა „ბ" კლასის რსფსრ-ის IV ზონის გუნდების კალენდარული მატჩი. ადგილობრივი დინამოელები შეხვდნენ ფოთის „კოლხიდას". დაძაბული ბრძოლა დამთავრდა ფრედ — 0:0.

## პრეტენდენტები

როცა ამ სტატიის წერას ვაპირებდი, გამახსენდა, რომ შარშან შემოდგომაზე საქართველოში სტუმრად მყოფ მ. ბოტვინიკთან არა ერთხელ მისაუბრია მსოფლიო ჩემპიონის სახელის შესაძლებელი პრეტენდენტების შესახებ. მოვძებნე იმდროინდელი ჩანაწერები.

— ამჟამად მსოფლიოში ბევრია ძლიერი დიდოსტატი, მაგრამ გვირგვინს სერიოზულად მხოლოდ ათიოდე მოჭადრაკე თუ ემუქრება, — ვკითხულობ მ. ბოტვინიკის ნათქვამს. — ამ ათეულში ყველაზე უფრო გამოირჩევიან ტალი და ფიშერი. ისინი დიდი მოჭადრაკეები არიან და თუ ტალი მიხედავს ჯანმრთელობას, ხოლო ფიშერი ჭკვიანად იქნება, მათ დიდი წარმატებებიც ელით.

რა მართალი სიტყვებია! ტალმა მიხედა თავის ჯანმრთელობას და აი, სასიამოვნო შედეგიც. რაც ფიშერმა ჰქნა, ყველამ იცის. ახლა თურმე ჩვენს დიდოსტატებს იწვევს მატჩში: 8.000 დოლარი დავდოთ ნიძლავად, წაგებული უფრო მეტს მიიღებს, ვიდრე მას ამსტერდამის ტურნირში ერგოო. ვერ ისწავლა ფიშერმა ჭკუა!

— როგორ აფასებთ სმისლოვის შანსებს?

— ზოგს ჰგონია სმისლოვის მზე ჩაესვენა. ტყუილია. დროებითი შემოქმედებითი დეპრესია აქვს. აი, ნახავთ ისევ კარგად ითამაშებს.

— რას იტყვით რეშევსკიზე?

— როგორც ჩანს, მას მოწონს პრეტენდენტთა ტურნირის გამართვის ახალი სისტემა და წარმატების იმედებიც აქვს, თორემ არ დათანხმდებოდა საზონათაშორისო ტურნირში მონაწილეობაზე, ადრე, 10 წელია უარს ამბობდა მასში თამაშზე. მატჩებში რეშევსკი ძლიერია. მას ჯერ არც ერთი მატჩი არ წაუგია.

— გაინტერესებთ სპასკი, — ვკითხულობ შემდეგ ბოტვინიკის ნალაპარაკევს. — ძალიან ნიჭიერია. კარგი ახალგაზრდაა. მაგრამ ჯიუტია. სწორედ ამის გამო „დაკარგა წლები", როცა 1955 წლის შემდეგ ვერც ერთხელ ვერ გავიდა საზონათაშორისო ტურნირშიც კი. თუ მოინდომებს, პრეტენდენტებშიც გავა და ყველასთვის სახიფათო მეტოქე იქნება.

მ. ბოტვინიკისთვის კერესზეც მეკითხავს. „ესტონელი დიდოსტატი უებრო ნიჭის პატრონია, მაგრამ სპორტულად „ბროლივით" ნაზია. მატჩების თამაშის დიდი გამოცდილება აქვს და ვფიქრობ, ყველაზე უფრო მრისხანე მეტოქე იქნება" —იყო ბოტვინიკის პასუხი.

ყველაფერი ეს ერთი წლის წინათ ითქვა და, როგორც ხედავთ, დღესაც არ დაუკარგავს თავის „ლირებულება". მსოფლიოს ექს-ჩემპიონს ღრმად ჩაუხედავს თავისი კოლეგების საჭადრაკო სულში.

ბუნებრივია, მაშინ არა გვქონია საუბარი ლარსენსა და ივკოვზე. ისინი პირველად მოხვდნენ პრეტენდენტებში. აი, მოკლე ცნობები მათ შესახებ: დანიელი ბენტ ლარსენი 29 წლისაა. დიდოსტატობის 8 წლის „სტაჟი" აქვს. აგრესული, ტალისებური სტილის მოჭადრაკეა. იუგოსლაველი ბორისლავ ივკოვი 31 წლისაა. დიდოსტატი გახდა 1956 წელს. თამაშობს პოზიციურ სტილში. არც ერთ მათგანს არა აქვს მატჩების თამაშის გამოცდილება, მაგრამ ბევრჯერ აუღიათ I პრიზი საერთაშორისო ტურნირებში.

პრეტენდენტთა ტურნირის რომელ ახალ სისტემაზე ლაპარაკობდა ზევით მ. ბოტვინიკი?

მსოფლიოს საჭადრაკო საზოგადოებრიობამ დაიწუნა პრეტენდენტის გამოვლენის მატჩ-ტურნირის გამართვის ძველი სისტემა. მასში ბევრი შემთხვევითობააო. ამის გამო პრესის ფურცლებზე დიდი სჯა-ბაასი გაიმართა. სსრ კავშირის საჭადრაკო ფედერაციამ წინადადება შეიტანა 8 პრეტენდენტს შორის მოეწყოს მატჩების სერია ოლიმპიური (წაგებულის გამოთიშვის) წესით. მეოთხედფინალში მოჭადრაკეები იყოფიან (კენჭისყრით) ოთხ წყვილად და თამაშობენ მატჩებს (10-10 პარტიას). ოთხი გამარჯვებული შეადგენს ორ ახალ წყვილს, რომლებიც ერთი კვირის შესვენების შემდეგ გაითამაშებენ ახალ მატჩს (ისევ 10-10 პარტიას).

ეს ორთაბრძოლები გამოავლენს ორ გამარჯვებულს. ორი თვის დასვენების შემდეგ ისინი ერთმანეთს შეხვდებიან გადამწყვეტ ორთაბრძოლაში (12 პარტიიდან), გამარჯვებული 6 თვის შემდეგ ითამაშებს მატჩს მსოფლიო ჩემპიონთან.

ეს სისტემა უკვე შევიდა ძალაში.

— თქვენ თვითონ კიდევ აპირებთ თამაშს მსოფლიო პირველობაზე? — მიკითხავს მაშინ ბოტვინიკისთვის.

— ჯერ ვერ გეტყვით. არ ვიცი, — ვკითხულობ უბის წიგნაკში. 1964 წლის ბოლოსთვის ვაპირებ ჭადრაკის მოთამაშე მანქანის პროგრამირების დამთავრებას. თუ შევძელი, ვითამაშებ. თუმცა რა საჭიროა? „მანქანა" ხომ უფრო გაუმკლავდება „რკინისებურ" პეტროსიანს!

თ. გიორგაძე

## შესაძლებლობა და სინამდვილე

ეს ფილოსოფიური კატეგორია მთელი სიგრძე-სიგანით ასახავს გურჯაანის რაიონის სოფელ ვეჯინის საშუალო სკოლის ფიზკულტურული კოლექტივის საქმიანობის არსს.

სკოლაში 800-მდე მოსწავლეა. მათ ფიზიკურ აღზრდას სამი სპეციალისტი (ნ. ყალაბეგაშვილი, ვ. ჯანყოშვილი და შ. ცანკაშვილი) ხელმძღვანელობს. ფიზკულტურული დარბაზის, ფრენბურთისა და კალათბურთის მოედნების, ტანვარჯიშული ქალაქის, მძლეოსნური სექტორების რაციონალური გამოყენებით სპორტის რამდენიმე სახეობის დანერგვა და მუშაობის მაღალ დონეზე დაყენება, სამატჩო შეხვედრების, სასკოლო ჩემპიონატების გამართვა და, ბოლოს, ბავშვთა მდიდარი არსენალიდან რაიონში კარგი სპორტსმენების მომზადება, — ასეთია სკოლის ფიზკულტურული კოლექტივის შესაძლებლობა. სინამდვილეში კი...

სინამდვილეში ყველაფერი თავდაყირაა. ფიზაღზრდის უფროსმა მასწავლებელმა ნ. ყალაბეგაშვილმა წრეობრივი მუშაობის ყველა სადავე თვითონ ჩაიგდო ხელში, არ ისურვა კოლეგებისთვის გაენაწილებინა კლასგარეშე მუშაობისთვის განკუთვნილი საათები, ისეთ ტვირთს შეეჭიდა, რომლის ზიდვა მის ყველა შესაძლებლობას აღემატებოდა და... სკოლაში ჩაშლის პირამდე მიიყვანა მასობრივ-ფიზკულტურული საქმიანობა.

მოუვლელია სპორტული ბაზები. აქ ისიც კი ვერ შეძლეს, რომ დაერაზმათ მოსწავლეები და თუნდაც მათი შრომითი მონაწილეობით მოეწყორებინათ ფრენბურთისა და კალათბურთის „ციცაბო" მოედნები. გამოუყენებელია ტანვარჯიშული ქალაქი, მხოლოდ სათვალავისთვის აქვთ სიგრძეზე და სიმაღლეზე სახტომი „სექტორები".

როცა სკოლის ფიზკულტურულ საქმიანობას გურჯაანის სპორტკავშირის თავმჯდომარესთან ამხ. დ. ნაცვლიშვილთან ერთად ვეცნობოდით, სკოლის დირექტორმა შ. გაბიტაშვილმა გულისტკივილით აღნიშნა:

— რა ვქნა, ყალაბეგაშვილს 22 წლის დამსახურება აქვს, ალბათ ამანაც გაამედიდურა. არ ისმენს ჩვენს რჩევა-დარიგებას, მუშაობს ისე, როგორც თავად მოესურვებათ.

დირექტორის სიტყვების სისწორე დაადასტურა მეურნეობის გადათვალიერებამაც. ისე მიიწურა სასწავლო წელი, რომ სკოლაში ფიზკულტურული მუშაობის ხელმძღვანელს ერთხელაც არ მოგონებია სასკოლო სპორტღონისძიებათა კალენდრის შედგენა, მრავალფეროვანი სამუშაო გეგმით დასახული საკითხების შესრულება. თვითდინებაზეა სექციების მუშაობა. ნ. ყალაბეგაშვილმა ისიც კი არ იცის, რომ სკოლებში ფედერაციები არ იქმნება. მას კი მათი სხდომებიც „ჩაუტარებია". კლასებში (IX კლასი) აკადემიური გაკვეთილების დროს მის მიერ ადგილი ჰქონდა პროგრამის თვითნებურ შეცვლას. ამასთან, გადაცემული თემა ფორმირებულია არაკვალიფიციურად ან საერთოდ არ ხდება საკლასო ჟურნალში თემების ჩაწერა.

ძალიან ნუ დავწვრილმანდებით, ფაქტებად ესეც კმარა. ხარვეზები სინამდვილეში სხვაც ბევრია.

ო. გელაშვილი
(ჩვენი სპეც. კორ.).
სოფელი ვეჯინი,
გურჯაანის რაიონი.

# ინტერვიუ შხაპის ქვეშ

მადრიდი. (საკდესი). როცა დამთავრდა მატჩი და ტემპერამენტიანი ტრიბუნები ჯერ ისევ ბობოქრად ზეიმობდნენ გამარჯვებას, ჩვენი ბიჭები გასახდელისკენ დაეშვნენ.

მათი განწყობილება ახსნას არ ითხოვს. რა საჭიროა კომენტარები, როცა დაკარგე თასი, რომელიც ოთხ წელს იყო შენთან, რომელსაც ასე შეეგუე და რომელთანაც კვლავ ასე ახლოს იყავი... განწყობილებას ამძაფრებდა ისიც, რომ ბესკოვის გუნდმა გადამწყვეტ მატჩში ვერ გამოავლინა ყველა თავისი შესაძლებლობა. პირდაპირ ვთქვათ: გუნდმა ვერ ითამაშა ძალიან კარგად. ჩვენ ხაზს ვუსვამთ: „ძალიან კარგად", რადგან მხოლოდ ასეთი თამაშით შეიძლებოდა მოგვეგო ამანსიოს, პერედას, სუარესისა და მარსელინოს გუნდისათვის. ყველა აქ დასახელებული ესპანელი „ვარსკვლავი" ფორვარდია. ამდენად, როცა ვლაპარაკობთ ჩვენების არადამაკმაყოფილებელ თამაშზე, პირველ რიგში ვგულისხმობთ იმათ, რომლებსაც უშუალო „საქმე" ჰქონდათ ამ „ვარსკვლავებთან" — მცველებს. შუსტიკოვმა ორი მწარე შეცდომა დაუშვა და ჩვენც ორჯერ ჩაგვწყდა მწარედ გული: კარის ბადე ბურთმა შეარხია. მცველი ვერ დაეუფლა მასთან მოხვედრილ ბურთს, რომელმაც პერედასთან გადაინაცვლა და შემდეგ ყუმბარასავით შევარდა ზედა ძელის ქვეშ... მცველმა ვერ გადაჭრა გადაცემა და უეცრად „ამოყვინთულმა" მარსელინომ თავით გაგზავნა ბურთი იაშინის კარში.

იაშინი... მას ყველაზე ნაკლებად უსაყვედურებ. იგი ნაღვლიანი გამომეტყველებით შევიდა გასახდელში, უხმოდ გაიხადა და დადგა შხაპის ქვეშ. და მაინც, ამ მძიმე მომენტშიც, მას ვაჟკაცობა ეყო პირდაპირ და პირუთვნელად ეპასუხა ანტონიო რუანგოსთვის, რომელმაც დაუსვა კითხვა:

— დაიმსახურა თუ არა ჩვენმა გუნდმა გამარჯვება?

— დიახ, — თქვა იაშინმა.

— შეესაბამება თუ არა ანგარიში ძალთა შეფარდებას?

— დიახ, — თქვა ისევ იაშინმა.

— თქვენ დიდი, მე ვიტყოდი, მკაცრი ფიზიკური დატვირთვა მოგიხდათ... — აშკარა თანაგრძნობით უთხრა რუანგომ. გაზეთ „მარკის" მიმომხილველი გულისხმობდა იმას, რომ ესპანელები მაღალი ბურთებისთვის ბრძოლის დროს მკვეთრად უტევდნენ თვით მეკარეს.

— და მაინც ეს არ არის დამარცხების მთავარი მიზეზი...

უცნაური ხალხია ეს ჟურნალისტები. მათ დრო არ ჰყოფნით და ყოველგვარ „ფუფუნებას" იკლებენ სასწრაფო სამუშაოს შესრულებისას. ეს ინტერვიუ რუანგომ თითქმის შხაპის ქვეშ აიღო...

მხოლოდ წყლის ფარდა ჰყოფდათ „მოიერიშეთაგან" ესპანელი ჟურნალისტების ალყაში მოხვედრილ სხვა ბიჭებსაც.

— ... თქვენები უფრო ტემპერამენტიანად და ტექნიკურად თამაშობდნენ, — პასუხობდა ივანოვი, — თანაც არ დაგავიწყდეთ, თამაშობდნენ საკუთარ მინდორზე!...

ბესკოვს შხაპის მიღება არ დაჭირვებია, თუმცა, ადვილი გასაგებია, არც ის იყო მაინცდამაინც „მშრალი". მან პირდაპირ თქვა, რომ გუნდმა ვერ ითამაშა მთელი ძალით და ამაში ბრალი მიუძღვის რამდენიმე ახალგაზრდა ფეხბურთელის გამოუცდელობას ასეთი დიდი მნიშვნელობის მატჩებში.

დამარცხების სხვა, უფრო კონკრეტული მიზეზები იყო შუსტიკოვის, მუდრიკისა და, ნაწილობრივ ანიჩკინის სუსტი თამაში დაცვაში, ივანოვისა და ჩისლენკოს არადამაკმაყოფილებელი აქტიურობა (განსაკუთრებით საბოლოო დარტყმებში) და პონედელნიკის უჩვეულო სიმძიმე, შებორკილობა.

ჩვენების გულმართალი, მიუკიბავ-მოუკიბავი ინტერვიუ ყველას მოეწონა.

— საბჭოთა სპორტსმენები შესანიშნავი ბიჭები ყოფილან! — თქვა ანტონიო რუანგომ.

ჩვენი ბიჭები ესპანელ მაყურებლებსა და სპეციალისტებს ვერ დაემდურებიან. ძალიან ბევრს მათი თამაში მოეწონა. ესპანელთა მწვრთნელმა ხოსე ვილიალონგამ პირდაპირ თქვა:

— ეს იყო [illegible] ბრძოლა, საბჭოთა ნაკრები [illegible] ხი წლის მანძილზე ევროპის ჩემპიონის წოდებას! ჩვენ თქვენი გუნდის სისუსტის გამო კი არ გავიმარჯვეთ, არამედ საკუთარი ძალების დაძაბვით.

რას იზამ, ესეც სასიამოვნოა მოსასმენად.

მაგრამ უფრო საჭიროა ანალიზი, დასკვნების გაკეთება და გეზის აღება მომავლისაკენ!...

* * *

სურათზე: ერთ-ერთი მომენტი ევროპის თასზე ბარსელონაში გამართული ნახევარფინალური მატჩიდან სსრ კავშირი — დანია. ბურთს თავით იგერიებს ა. შესტერნიოვი.

იუპი-საკდესის ფოტო.



# ბობი სმიტი გაიყიდა ჩალის ფასად

ინგლისური პროფესიული კლუბის „ტოტენჰემ ჰოტსპურის" ხელმძღვანელობა ძალზე უკმაყოფილო დარჩა თავისი გუნდის შედეგებით ბოლო ჩემპიონატში. გაკრიტიკებულ იქნა მენაჯერი ბ. ნიკოლსონიც, რომელმაც მრავალი გამოჩენილი „ვარსკვლავი" გამოზარდა, მაგრამ უკანასკნელ გათამაშებაში პირველობა დაუთმო „ლივერპულს", რომელსაც არა ჰყავს ცნობილი მოთამაშეები.

განსაკუთრებით გააცრუა იმედი სმიტ - გრივსის ცნობილმა „დუეტმა". გრივსი ერთობ არათანაბრად თამაშობდა და მას ნაკრებშიც უმზადებენ შემცვლელს ჰანტის სახით. რაც შეეხება სმიტს, მისთვის წლევანდელი სეზონი მეტად უიღბლო გამოდგა. ოდესღაც განთქმული „ბომბარდირი" და „საუკუნის მატჩის" მონაწილე ამჟამად ძალზე სუსტად თამაშობს.

ყოველივე ამის შედეგად „ტოტენჰემ ჰოტსპურმა" ბ. სმიტი მეორე ლიგის გუნდ „ბრაიტონს" დაუთმო 5 ათას გირვანქა სტერლინგად. თუ გავითვალისწინებთ საერთო „ნიხრებს" ინგლისის ფეხბურთის ბაზარზე, ეს ნამდვილად ჩალის ფასია, ვინაიდან იგივე „ტოტენჰემმა" ჯ. გრივსის საფასურად „მილანს" სამი წლის წინ 100 ათასი გირვანქა სტერლინგი გადაუხადა.

# გზა ბრინჯაოს მედლისაკენ

დაკუნთული შავტუხა მოჭიდავის გვარი ყველასთვის უცნობი იყო. ახალბედა თანაგუნდელებმა მიაცილეს ხალიჩამდე და მათვე დაულოცეს გზა პირველ სერიოზულ ბრძოლაში. ლენინგრადელ ანდრეევზე ამ უცნობის ჩამოსხმულმა კუნთებმა და ჯიქურმა გამოხედვამ „უსიამოვნო" შთაბეჭდილება დატოვა, მაგრამ ნირი არ შეიცვალა და გაბედულად ეკვეთა მეტოქეს. შემდეგ კი... ახალბედამ ისევე მშვიდად და დამაჯერებლად დაამთავრა ჭიდილი, როგორც დაიწყო. არბიტრმა გამარჯვების ნიშნად მისი მარჯვენა ზეაღმართა.



Თ. ასლამაზიშვილი.

ეს მოხდა ამ ერთი კვირის წინ, ბაქოში, თავისუფალი სტილის მოჭიდავეთა საკავშირო ჩემპიონატზე. ასე მოკრძალებით შემოაღო დიდი სარბიელის კარიბჭე 22 წლის ქართველმა მოჭიდავემ თენგიზ ასლამაზიშვილმა.

მის სპორტულ ბიოგრაფიაში არაფერია უჩვეულო და განსაკუთრებული. ცხოვრობდა საგარეჯოში, სადაც დაამთავრა საშუალო სკოლა. სწავლის გასაგრძელებლად თბილისს ჩამოვიდა და პოლიტექნიკური ინსტიტუტის სტუდენტი გახდა. სწორედ აქ, ინსტიტუტის საჭიდაო დარბაზში გაიცნო მან ერთ დროს ცნობილი ფალავანი, ახლა კი გამოცდილი მწვრთნელი გიორგი როსტიაშვილი. პედაგოგის მახვილმა თვალმა შრომისმოყვარე და დამჯერე ჭაბუკში ამოიკითხა დიდი ფიზიკური ძალა, ჭიდაობის დაუცხრომელი ჟინი და ენთუზიაზმი.

თენგიზმა სულ რაღაც სამიოდე წელიწადში განვლო გზა ახალბედა მოჭიდავიდან საკავშირო ჩემპიონატის პრიზიორამდე. და ვინაიდან ეს გზა არ იყო ვარდებით მოფენილი, ახალგაზრდა ოსტატის წარმატება კანონზომიერ მოვლენად იქნა მიჩნეული. ეს რომ ასეა, მოჭიდავის სპორტული ბიოგრაფიის უკანასკნელი ფურცლებიდანაც ჩანს. თენგიზმა ბრძოლით მოიპოვა უძლიერესთა ტურნირში მონაწილეობის უფლება: ფინალის საგზური მან ბათუმში მიიღო, სადაც შესარჩევ შეჯიბრებაზე II ადგილი დაიკავა გამოცდილი ოსტატის ა. ცხოვრებოვის შემდეგ.

...ანდრეევთან გამარჯვებამ თენგიზს რწმენა შემატა. მომდევნო წრეში იგი უფრო თამამად შეეჭიდა უკრაინელ შავლოხოვს და კვლავ გაიმარჯვა. ასლამაზიშვილი საერთო ყურადღების ცენტრში მოექცა, მასზე უკვე ხმამაღლა ალაპარაკდნენ მწვრთნელები, მონაწილენი. ამიტომაც, მისი მესამე გამარჯვება ორჯონიკიძელ ბიბოევთან ალარავის გაკვირვებია.

მომდევნო წრეში თენგიზი დამარცხდა, მაგრამ ამ მარცხს კაცი ვერსად გაექცეოდა, რადგან მსოფლიო ჩემპიონთან — გურამ სალარაძესთან წაგება არაა სათაკილო. სამაგიეროდ, ორ მომდევნო ბრძოლაში გამოცდილ მეტოქეებთან ნებიერიძესთან (კიევი) და აქსიონოვთან (მინსკი) მიღწეულმა ფრემ ერთხელ კიდევ ცხადყო, რომ ახალგაზრდა სპორტსმენის წარმატება შემთხვევითი არ არის. მესამე საპრიზო ადგილი ქვესაშუალო წონაში — მრავლისმეტყველია!

თენგიზთან საუბარმა ეს რწმენა განგვიმტკიცა.

— შედეგით კმაყოფილი ხართ? — შევეკითხეთ მას საუბრის ბოლოს.

— რა თქმა უნდა, — მოკლედ მოგვიჭრა მან და შემდეგ დასძინა: — სხვათა შორის, არსენ მეკოკიშვილი პირველი საკავშირო ჩემპიონია თავისუფალ ჭიდაობაში საგარეჯოელთა შორის. მე კი მედლის მფლობელი მეორე საგარეჯოელი ვარ... ტრაბახში არ ჩამომართვათ და ეს დიდად მეამაყება.

Ნ. ᲐᲮᲕᲚᲔᲓᲘᲐᲜᲘ

## აღმოსავლეთი, დასავლეთი, ჩრდილოეთი, სამხრეთი...

◆ ბრატისლავა. ქალაქის გათავისუფლების თასის ტრადიციულ გათამაშებაში მონაწილეობდნენ სსრ კავშირის, ჩეხოსლოვაკიის (2), გდრ-ისა და პოლონეთის ფრენბურთელთა, აგრეთვე უნგრეთის იუნიორთა ნაკრები გუნდები. ასპარეზობაში გამარჯვებული გამოვიდა საბჭოთა ნაკრები. მეორე ადგილზეა ჩეხოსლოვაკიის I ნაკრები, მესამეზე — პოლონეთის გუნდი. ტურნირის საუკეთესო თავდამსხმელად აღიარებულია რიგელი ი. ბუგაენკოვი.

◆ ბუდაპეშტში გამართულ მძლეოსანთა საერთაშორისო შეჯიბრებაზე პოლონელმა ვ. კომარმა დაამყარა თავისი ქვეყნის რეკორდი ბირთვის კვრაში—19 მ 50 სმ. წელს ეს მეორე შედეგია ევროპაში და მესამე — მსოფლიოში.

◆ ვარშავა. ახალი ეროვნული რეკორდით გაახარა თავისი თანამემამულეები პოლონელმა მძლეოსანმა ვ. სოკოლოვსკიმ. ჭოკით ხტომაში მან აჩვენა 484 სმ.

◆ **ბელგრადი.** მოსკოვის მოკრივეთა ნაკრებმა, რომელიც სტუმრადაა იუგოსლავიაში, ჩაატარა ორი მატჩი ამ ქვეყნის უძლიერეს სპორტსმენებთან. პირველ შეხვედრაში (ბელგრადის გუნდთან) ანგარიში იყო 8:2 მოსკოველთა სასარგებლოდ. ტიტოგრადში მოწყობილ ასპარეზობაშიც უპირატესობა სტუმრების მხარეს იყო — 8:1.

◆ **თეირანი.** ირანში პირველად ჩამოვიდნენ „მცირე ჩოგბურთის" საბჭოთა ოსტატი ქალები ლ. ბალაიშვილი, ს. გრინბერგი, ს. პაისიარვი და ლ. ლუკინა. შეხვედრა მოეწყო ქალაქის სტადიონზე „ფარახ დიბა". საბჭოთა სპორტსმენების წინააღმდეგ გამოვიდა თეირანის ნაკრები. გაიმარჯვეს სტუმრებმა — 5:0.

◆ გდრ. გრიუნაუში დამთავრდა საერთაშორისო რეგატა აკადემიურ ნიჩბოსნობაში, რომელშიც მონაწილეობდნენ სსრ კავშირის, ჩეხოსლოვაკიის, პოლონეთის, რუმინეთის, უნგრეთის, კუბის, გდრ-ისა და ბულგარეთის გუნდები.

შეჯიბრებაში დიდი წარმატება მოიპოვეს გდრ-ის სპორტსმენებმა, რომლებმაც დაიკავეს პირველი ადგილები პროგრამის უმრავლეს სახეობებში.

# დიდი ასპარეზობა ლისაბონში

ივნისის დასასრულს ლისაბონში იწყება დიდი საერთაშორისო ტურნირი ფეხბურთში, რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ გფრ-ის ექს-ჩემპიონი „ბორუსია", ბელგიის არაერთგზის ჩემპიონი „ანდერლეჰტი", ესპანეთის მრავალგზის ჩემპიონი „ატლეტიკო", პორტუგალიის უძლიერესი კლუბები „ბენფიკა" და „სპორტინგი".

ტურნირის ორგანიზატორები აწარმოებენ მოლაპარაკებას ევროპის სხვა წამყვან კლუბებთანაც.

# ჭადრაკის ამბები

△ ჭადრაკის მიწერ-მოწერით თამაშის საერთაშორისო ფედერაცია ივლისში შეაჯამებს მსოფლიოს გუნდურ პირველობას—IV დაუსწრებელ ოლიმპიადას. ამჟამად ოლიმპიადაზე, რომელიც მეორე წელია მიმდინარეობს, ასეთი მდგომარეობაა: სსრ კავშირი — 28 ქულა 36-დან, გდრ—28 42-დან, შვეცია—27 46-დან, გფრ—20 43-დან, ესპანეთი — 19 40-დან, უნგრეთი — 17,5 38-დან, არგენტინა—16,5 38-დან, დანია—13,5 44-დან, იუგოსლავია—12,5 32-დან.

სსრ კავშირის გუნდმა (ი. ბონდარევსკი, კ. დუბინინი, გ. ბორისენკო, ვ. ზაგოროვსკი, მ. იუდოვიჩი, ლ. მასეევი) 21 პარტია მოიგო, 14 ყაიმით დაამთავრა და 1 წააგო. ყველაზე უკეთესი პირადი შედეგი აქვს შვედ ე. არნლინდს—7,5 8-დან.

△ სსრ კავშირის VI პირველობა მიწერ-მოწერით თამაშში დასასრულს უახლოვდება. ტურნირში ლიდერთა ასეთი მდგომარეობაა: საერთაშორისო ოსტატი ვ. სიმაგინი—9 ქულა 13-დან, ა. გილმანი—9 15-დან, ვ. მილიუტინი—8,5 13-დან, ვ. სანაკოევი—8 11-დან, რ. ალტშულერი—7,5 13-დან, საბჭოთა კავშირის ჩემპიონი მიწერ-მოწერით თამაშში, ოსტატი ი. ესტრინი—7,5 14-დან, ოსტატი ა. ზაიცევი—6,5 11-დან, საერთაშორისო ოსტატი ა. კონსტანტინოპოლსკი, ოსტატი ი. ნეიშტადტი—6-6 11-დან.

△ სსრ კავშირის და ჩეხოსლოვაკიის მოჭადრაკეთა მიწერ-მოწერითი მეორე მატჩი ორ წრედ 100 დაფაზე, რომელიც 1961 წლის მაისში დაიწყო, დამთავრდა. გაიმარჯვეს საბჭოთა მოჭადრაკეებმა—115:85. მესამე მეგობრული მატჩი დაიწყება 1964 წლის 1 სექტემბერს.

რედაქტორი მ. კაკაბაძე.

გაზეთი გამოდის ყოველდღე, გარდა ორშაბათისა და პარასკევისა. რედაქციის მისამართი: თბილისი, ლენინის ქ. № 14, დეპეშებისათვის — თბილისი, „ლელო", ტელეფონები: რედაქტორის — 3-35-82, პასუხისმგებელი მდივნისა და განყოფილებების—3-35-09.



ИНДЕКС 66448 საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის პოლიგრაფკომბინატი, თბილისი, ლენინის ქ. № 14. უე 11222